დასკვნა

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2026 წლის საპრივატიზაციო ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 მაისის #17 (რეგისტრაცია #გ-47. 47261482) განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ერკეთში მდებარე #[redacted] საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობის (ძირითადი (განუსხვისებელი) ქონება) გასხვისების თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა განკარგულების პროექტი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2026 წლის საპრივატიზაციო ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 მაისის #17 (რეგისტრაცია #გ-47. 47261482) განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ერკეთში მდებარე #[redacted] საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობის (ძირითადი (განუსხვისებელი) ქონება) გასხვისების თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“. განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.დ“ და 54–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ი“ ქვეპუნქტებთან, რომელთა თანახმადაც მერის წარდგინებით, საკრებულო უფლებამოსილია დაამტკიცოს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა და პრივატიზაციის გეგმა.

განკარგულების პროექტი ასევე, შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 121-ე მუხლთან, რომლის თანახმადაც საკრებულო უფლებამოსილია, სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით განკარგულების სახით მისცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე.

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებასთან.

ზემოაღნიშნული განკარგულების მიღების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი

უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების

მართვის განყოფილების უფროსის

მოვალეობის შემსრულებელი: ბ. ქ. ბიძინა გიგოლაშვილი